გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2026 წლის 13 თებერვალი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №8 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 16/11/2017, 010250030.35.148.016392) დამტკიცებული №1 დანართი შეიცვალოს ახალი №1 დანართით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მარლენ ნადირაძე**

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	რანგი	კატეგორია	თანამდებობა	რაოდენობა	სარგო
1			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარე	1	7408
			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	5798
2			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	4670
3			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	4026
4			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3	3542
5			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	9	2898
6			ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – საკრებულოს აპარატის უფროსი	1	3795
7	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	3	2080
8	III რანგი (უფროსი	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის	უფროსი სპეციალისტი	15	1920

	სპეციალისტი)	თანამდებობა			